სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური,
სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის
ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების
შემმოწმებელი დროებითი კომისია

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ქუჩა 26

№ 11476

15 02 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №69-Iს დადგენილების შესაბამისად შეიქმნა "სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია", 3 თვის ვადით.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ შემუშავდა და პარლამენტის ბიუროს დასამტკიცებლად წარედგინა კომისიის დებულება. კომისიის წევრების მიერ არჩეულ იქნენ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

დროებითმა კომისიამ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, მოამზადა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №69-Iს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2012 წლის 21 დეკემბრის №134-Iს დადგენილებით. მიღებული დადგენილებით კომისიის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია“.

კომისიამ აუდიტის სამსახურის აუდიტის ჩასატარებლად შეიმუშავა პროგრამა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს შესაბამისი მუშაობა (პროგრამა თან ერთვის, იხ. დანართი 1).

დროებითმა კომისიამ, აუდიტის ჩასატარებლად შექმნა სამუშო ჯგუფი 7 სპეციალისტის შემადგენლობით, რომლებიც ახორციელებენ ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული თითოეული საკითხის შესწავლასა და დამუშავებას.

კომისიამ, აღნიშნულ პერიოდში, გამართა 5 სხდომა, მათ შორის ქალაქ ქუთაისში, საქართველოს პარლამენტში, სადაც მოსმენილ იქნა ინფორმაცია აუდიტის მიმდინარეობის შესახებ. კომისიისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის კითხვა-პასუხის რეჟიმში დაზუსტდა შესაბამისი საკითხები.

განვლილ პერიოდში კომისიის მიერ შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები: საქართველოს კონტროლის პალატის (აუდიტის სამსახურის) ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და წარდგენის სისწორე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა; დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები; მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრის სისწორე, სახელფასო და სხვა გასაცემლების (პრემიები, ფულადი დახმარებები, სამივლინებო თანხები) დროული დარიცხვისა და გაცემის საკითხები, მათი შესაბამისობა საშტატო-საკადრო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის მდგომარეობასთან; შტატგარეშე მოსამსახურეთა სამსახურში აყვანის და მათზე ხელფასების და პრემიების გაცემის მართლზომიერება; 2012 წელს ავტომანქანების საწვავის ხარჯვისა და რემონტზე გაწეული თანხების სისწორე; ჩატარებული მიმდინარე და კაპიტალური რემონტის საკითხები, სასტუმროების მომსახურეობაზე, კავშირგაბმულობაზე, აუდიტის სამსახურის მიერ სუვენირების შესყიდვისათვის გაწეული და სხვა წარმომადგენლობითი ხარჯები; კონტროლის პალატის (აუდიტის სამსახურის) სახელმძღვანელო-ნორმატიული აქტების ურთიერთშესაბამისობისა და აღნიშნული აქტების სამუშაო პრაქტიკაში გამოყენების მდგომარეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლის პალატის (აუდიტის სამსახურის) ძირითად სახელმძღვანელო-ნორმატიულ დოკუმენტებს წარმოადგენს საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონი საქართველოს კონტროლის პალატის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის) შესახებ და საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტი, რომელიც დამტკიცებულია პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 12 მარტის ბრძანებით. ამ უკანასკნელის მიხედვით განისაზღვრება კონტროლის პალატის საქმიანობის წესი, სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, აუდიტის მომზადებისა და ჩატარების ვადები და წესი, საქმისწარმოებისა და შიდა საქმიანობის ორგანიზაციული საკითხები. ამ ფონზე კი საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტში არ არის შეტანილი ბოლო პერიოდში მომხდარი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც გამომდინარეობს კონტროლის პალატის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის) შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებიდან და დამატებებიდან. აღნიშნულის გამო, რეგლამენტისა და კანონის მთელი რიგი მუხლები ერთმანეთთან არ მოდის შესაბამისობაში. რეგლამენტში განხორციელებული ბოლო ცვლილება დათარიღებულია 2012 წლის 24 თებერვლით. შესაბამისად, რეგლამენტში არ არის ასახული ცვლილებები, კონტროლის პალატის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის) შესახებ კანონში 2012 წლის 25 მაისს, 22 ივნისსა და 21 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებიდან და დამატებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, რეგლამენტირებას მოითხოვდა ასევე კონტროლის პალატის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის) 2012 წლის სამუშაო პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხებიც, რაც არ არის განხორციელებული.

ზემოთ მითითებულ საკითხებთან ერთად მიმდინარეობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საქმიანობის აუდიტის შემოწმების პროგრამით (რომელიც შედგება 37 პუნქტისაგან) გათვალისწინებული სხვა დანარჩენი საკითხების შესწავლა, რაც შემოწმებისათვის დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა მხარჯავმა დაწესებულებებმა, წლიური ბუღალტრული ანგარიშგება სახაზინო სამსახურში უნდა წარადგინონ არა უგვიანეს მომდევნო წლის 1 მარტისა. სახელმწიფო

აუდიტის სამსახურსაც აღნიშნულ ვადაში ექნება წლიურ ბალანსზე მუშობა დასრულებული. წლიური ბალანსის შედგენის შემდეგ, კომისიას აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული ხარჯების ბალანსთან შესაბამისობის გადასამოწმებლად დამატებით დრო დასჭირდება, რაც კომისიის უფლებამოსილების ვადას სცილდება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და დროებითი კომისიის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ პარლამენტმა რეგლამენტის 76-ე მუხლის შესაბამისად, დროებით კომისიას უფლებამოსილების ვადა დამატებით გაუგრძელოს 3 თვით.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტს.

პატივისცემით,

ნოდარ ეგანოიძე
კომისიის თავმჯდომარე